

დახასიათება

ტერიტორია 1174.4 კვ.კმ

მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და თბილისს შორის 57 კმ-ია.

კლიმატი

მხარის კლიმატი – ზომიერად ნოტიო საშუალო წლიური ტემპერატურა დაახლოებით $+12^{\circ}$ – $+13^{\circ}$

შესაძლებელი მაქსიმუმია 35° – 40°

შესაძლებელი მინიმუმი – -25° ; -30° ;

ქარის ენერგეტიკული რესურსი – გამეფებულია მთა-ხეობათა ქარები, კრიტიკულ შემთხვევებში აღწევს 25–30 მ/წმ-ში.

ნალექების რაოდენობა წელიწადში საშუალოდ 500 – 900 მმ-ია;

მაქსიმუმი – 1500 მმ – 2000 მმ;

მინიმუმი – 400 მმ – 500 მმ;

მოსახლეობის რაოდენობა, სულ 27955 კაცი;

მათ შორის: ქალაქის – 4195;

დაბის - 2580

სოფლის – 23760;

მოსახლეობის სიმჭიდროვე 1/01–2010 წ.

1 კვ.კმ-ზე 24 კაცი

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის შესახებ

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობს და ქვემო ქართლის მხარეში შემავალი თვითმმართველი ერთეულია. მუნიციპალიტეტში არის ერთი ქალაქი, ერთი დაბა და 82 სოფელი (აქედან 4 სოფელი დაცლილია), რომლებიც გაერთიანებულია 20 ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი, ქალაქი თეთრიწყარო, თბილისიდან დაშორებულია 57-კმ-ით, რეგიონის ცენტრიდან – ქ. რუსთავიდან 60კმ-ით, ხოლო მთავარი სარკინიგზო მაგისტრალიდან (თბილისი-მარაბდა-ახალქალაქი)–7კმ-ით.

მუნიციპალიტეტის მთლიანი ტერიტორია 1174.5 კმ² –ია, ძირითადი ნაწილის მინიმალური სიმაღლე ზღვის დონიდან 650 მ, ხოლო იმ ადგილის მაქსიმალური სიმაღლე, სადაც დასახლება მდებარეობს – 1140 მ.

მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთით ესაზღვრება გარდაბნისა და მარნეულის მუნიციპალიტეტები, დასავლეთით – წალკისა და დმანისის, ჩრდილოეთით – კასპისა და მცხეთის, ხოლო სამხრეთით – ბოლნისის.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებობს ბახალტის, მადნეულის, თეთრი ქვის, კირის, მარგანეცის საბადოები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია ეკონომიკური დანიშნულებით.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიედინება ორი მოზრდილი მდინარე – ალგეთი და ხრამი, ორი მცირე სიდიდის – ვერე და ასლანკა, ეს უკანასკნელი მდ.ხრამს უერთდება.

ფლორისა და ფაუნის დაცვის მიზნით, 1968 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეიქმნა ალგეთის სახელმწიფო ნაკრძალი, რომლის ფართობია 6400 ჰა. ტერიტორიის რელიეფი, რომელზეც ნაკრძალია განლაგებული, მთავორიანია, დაფარულია წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყით.

2007 წლის მონაცემებით, 2004 წელთან შედარებით მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 3.2%-ით გაიზარდა და 25 791 კაცი შეადგინა. 2007 წლის მონაცემებით ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი 65 წლისა და მეტი ასაკის ადამიანებზე მოდის. 2004-2007 წლებში შობადობის მაჩვენებლები შემცირებულია 23.1%-ით, ხოლო გარდაცვალების მაჩვენებელი – 39.8%-ით. მოსახლეობის კლების ძირითად მიზეზს რეპროდუქციული ასაკის მქონე ადამიანების მიგრაციის მაღალი მაჩვენებელი წარმოადგენს.

ეთნიკური შემადგენლობის მიხედვით, 2006 წლის მონაცემებით, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 75%-ს ქართველები შეადგენენ, 9%-ს – სომხები, 6%-ს აზერბაიჯანელები, 4%-ს ბერძნები, დანარჩენი სხვა ეროვნების მოქალაქეებია.

მონაცემების მიხედვით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრობს 2208 ეკოლოგიურად მიგრანტი და 185 იძულებით გადაადგილებული პირი. მათი უმრავლესობა განთავსებულია მუნიციპალიტეტის სოფლებში. 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად მუნიციპალიტეტში განთავსდა შიდა ქართლიდან დევნილთა ოჯახები. 2008 წლის ნოემბრის მონაცემებით 447 ოჯახს –1 400 კაცი შეადგენდა.

2007 წლის მონაცემებით, მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 29 საშუალო სკოლა, რომელთაგან 2 – ქ.თეთრიწყაროში, 2 – დაბა მანგლისში, 25 კი – სხვა დასახლებულ პუნქტებშია განლაგებული. აღნიშნულ სკოლებში სულ 3339 მოსწავლეა, ხოლო პედაგოგების რაოდენობა 575-ს შეადგენს.


2007 წლის მონაცემებით, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 52% ეკონომიურად აქტიურია, თუმცა, მათგან მხოლოდ 10,2%-ია დასაქმებული ეკონომიკის სხვადასხვა დარგსა და სფეროში.

2010 წლის მონაცემებით მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ჯანდაცვის 3 სტაციონალური დაწესებულება. 18 ამბულატორია და 2 სასწრაფო დახმარების პუნქტი.

მუნიციპალიტეტის 5 ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანოს (ასურეთი, დურნუკი, ჯორჯიაშილი, დაღეთი, სამშილდეს) მიერ წარმოდგენილი მონაცემებით, აღნიშნულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში საცხოვრებელი სახლების მთლიანი რაოდენობა 2 965 ერთეულია.

ეკონომიკა:

სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში 75%-ს შეადგენს, ვაჭრობის – 15%-ს, მომსახურების – 10%-ს, მრეწველობის – 5%-ს.



ძირითადი მაკროეკონომიკური პროდუქციის სახეებია:


ხორცი (მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის, ქათმის), რძე, კარტოფილი, ბოსტნეული, ხორბალი, ქერი, სიმინდი

- მთლიანი პროდუქციის ხვედრითი წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში 0,1%
- მთლიანი მუნიციპალური პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე - 0,6 ათასი ლარი


ადგილობრივი ბიუჯეტი 2007-2010 წლებში

	2007წ.	2008წ	2009წ	2010წ
1. ბიუჯეტის შემოსულობები, სულ	4019,7	9981,3	4456,7	3881,3
1.1. ბიუჯეტის შემოსავლები, მთლიანად	3719,7	9838,5	4369,5	3791,3
მათ შორის:				
- საგადასახადო შემოსავლები	2637,0	418,4	428,2	240,0
- არასაგადასახადო შემოსავლები (მოსაკრებლები და სხვა შემოსავლები)	135,0	137,4	1012,3	210,0
- გრანტები (გრანსფერის ჩათვლით)	947,7	9282,7	2929,0	3341,3
1.2. არაფინანსური აქტივების კლება	300,0	142,8	87,2	90,0
1.3. ფინანსური აქტივების კლება	-	-	-	-
2. ბიუჯეტის გადასახდელები, სულ	4264,7	10212,6	4411,5	3969,1
2.1. საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	475,9	459,7	695,1	740,6
2.2. თავდაცვა	36,6	46,0	50,9	58,8
2.3. საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	183,5	188,4	277,2	385,5
2.4. ეკონომიკური საქმიანობა	942,0	949,1	984,5	949,3
2.5. გარემოს დაცვა	11,0	-	-	-
2.6. საბინაო-კომუნალური მეურნეობა	2227,2	7669,4	1084,1	852,0
2.7. ჯანმრთელობის დაცვა	76,2	83,3	96,1	98,5
2.8. დასვენება, კულტურა, რელიგია	120,9	182,1	262,5	404,5
2.9. განათლება	88,4	462,4	805,3	325,5
2.10. სოციალური დაცვა	103,0	172,2	155,8	154,4

1. ბიუჯეტის შემოსულობები, სულ



2. ბიუჯეტის გადასახდელები, სულ



სამრეწველო საწარმოთა ძირითადი მანქანებლები 2010 წ. 1/I-თვის
მოქმედი საწარმოები სულ – 12
წარმოებული პროდუქცია – 965,5 ათასი ლარი;
დასაქმებულთა რაოდენობა - 52 კაცი.

სოფლად მიწის ნაკვეთის მქონე თვითდასაქმებულთა რაოდენობა – 12300 კაცს
შეადგენს.

სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობის დარგებისა და შესაბამისი პროდუქციის მოკლე დახასიათება.

მუნიციპალიტეტში წამყვან დარგს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა, მისი ძირითადი მიმართულებებია: მეცხოველეობა, მეფრინველეობა და მემცენარეობა. მუნიციპალიტეტში იწარმოება ხორცი, რძე, კვერცხი, მარცვლეული, ბოსტნეული, კარტოფილი.

რძის წარმოების საშუალო წლიური მოცულობა შეადგენს - 18,5 ათას ტონას;

ხორცის – 3000 ტონას

კვერცხის – 3700 ათ. ცალს

ხორბლის საშუალო საჰექტრო მოსავლიანობა შეადგენს 2 ტონას

ქერის - 1,8 ტონას,

ბაზარზე საწვავ – საცხებ მასალებსა და ტექნიკაზე ფასების ინტენსიურმა ზრდამ გამოიწვია ნათესი ფართობების მკვეთრი შემცირება და შესაბამისად მოსავლიანობის მკვეთრი კლება.

მუნიციპალიტეტში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია განკუთვნილია შიდა ბაზრისათვის.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოცულობა სახეების მიხედვით:

სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, სულ - 50702 ჰა,

მათ შორის:

- სახნავი – 18028 ჰა ;
- მრავალწლიანი ნარგავები – 500 ჰა;
- სათიბი – 6475 ჰა;
- საძოვრები – 25699 ჰა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსხვილი ფერმერული მეურნეობები, ფერმერთა ასოციაციები, კოოპერატივები და სხვა გაერთიანებები არ არის.

**სოფლის მეურნეობის მომსახურე აგრო-ცენტრების, სერვის-ცენტრების
რაოდენობა და მათი მასალებითა და ტექნიკით აღჭურვილობის დონე**

№ რიგზე	ცენტრის დასახელება	საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი)	გამოშვებული პროდუქციის (შესრულებული სამუშაოს) მოცულობა, ათასი ლარი	აღჭურვილობის დონე (რა ტექნიკასა და მასალებს ფლობს, ჩამოვთვალოთ)
1	„სხივი“	ხენა – თესვა	8,0	„კლასის“ მარკის 2 ტრაქტორი. 2 ცალი სახნავი გუთანი, 1ც კულტივატორი, 1ც სათიბელა, 1ც ფრეზი, 1ც ოთხთვლიანი მისაბმელი.
2	„თონეთი“	„-----“	1,0	„ბელორუსის“ მარკის 2 ტრაქტორი „ფერგისონის“ მარკის ერთი ტრაქტორი, 3 ც გუთანი, 1 ც სათიბელა, 1 ც ფრეზი, 1 ც ოთხთვლიანი მისაბმელი

წყლის ძირითადი არტერიები:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიედინება 3 მდინარე – ალგეთი, ხრამი, ვერე მდინარე ალგეთი სათავეს იღებს კლდეკარის მთიდან, მისი სიგრძე 108 კმ-ია, აუზის ფართობი – 763 მ² –ია, იგი მდინარე მტკვარს მარჯვენა მხრიდან ერთვის.

მდინარე ხრამი (ქცია) – სათავეს იღებს წაღკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, თეთრიწყაროს, დმანისის, ბოლნისის, მარნეულის ტერიტორიებს გაივლის და მტკვარს ახერბაიჯანში უერთდება. მისი სიგრძე 117კმ-ია, ხოლო აუზის ფართობი 6280 კმ²-ია.

მდინარე ვერე – სათავეს იღებს დიდგორის მთის მიდამოებში, მისი სიგრძე 45 კმ-ია, ხოლო აუზის ფართობი 194 კმ²-ია. იგი მდინარე მტკვარს ერთვის თბილისის მიდამოებში და მის მარჯვენა შენაკადს წარმოადგენს.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგება ძირითადად ხორციელდება 15 წყალსადენის მეშვეობით

მათ შორის

№	წყალსადენის დასახელება	წყალსადენის სიგრძე (კმ)
1	ქსოვრეთის	45
2	გოხნარის	35
3	ასურეთის	18
4	მენკალისის	17
5	ორბეთის	14
6	ოდისის	11
7	ერტისის	11
8	გუდარეხის	8,8
9	თონეთის	6
10	სამშვილდის	4
11	კოდის	3
12	ალექსეევკის	3
13	მარაბდის	3
14	ხაიშის	3
15	ჭივჭავის	2
	ს უ ლ	183,8

გარდა ამისა, წყალმომარაგება ხორციელდება 8 ჭაბურღილიდან, მათ შორის: ქ. თეთრიწყაროს მიმდებარე - 2, სოფელ კოდაში არსებული - 4, სოფელ ჭივჭავისა და ვაშლოვანში არსებული თითო-თითო ჭაბურღილიდან.

მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობის წყალმომარაგება ხდება აგრეთვე მათ მიმდებარედ არსებული პატარ-პატარა წყაროებიდან.

- სასმელი წყლისა და საკანალიზაციო ქსელის საერთო სიგრძე შეადგენს 193,6 კმ-ს;
- სასმელი წყლით უზრუნველყოფილია ქალაქის მოსახლეობის 90%, სოფლის მოსახლეობის 70% .

ტრანსპორტი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მონაკვეთები, რომელთა სიგრძე შესაბამისად შეადგენს 68 კმ-ს და 56,2 კმ-ს.

მუნიციპალიტეტში ფინქციონირებს 4 ავტოსატრანსპორტო საწარმო, რომელებიც მხოლოდ მგზავრთა გადაყვანას ახორციელებენ

სატრანსპორტო საწარმოს დასახელება	გადაყვანილი მგზავრი (ათასი კაცი)			ავტოსატრანსპორტის რაოდენობა (ერთეული)
	2007 წ	2008 წ	2009 წ	
ს/ს „მეგობრობა“	79,1	90,7	80,2	20
შპს „ამირანი“	9,1	13,7	17,3	8
შპს „მანგლისი“	4,5	9,7	8,2	6
შპს „თეთრიწყარო ტრანსი“	16,0	32,3	27,0	5

ადგილობრივი საავტომობილო გზების სიგრძე შეადგენს 225კმ-ს, საიდანაც ასფალტირებულია – 57კმ, ხოლო გრუნტის – 168 კმ.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 14 ხილია, რომელთა სიგრძე 483 მ-ია;

ბოლო სამი წლის განმავლობაში გზების ექსპლუატაციასა და მოვლა-შენახვაზე დახარჯულია – 1713,4 ათასი ლარი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის 2 ნაგავსაყრელი, რომელთა საერთო ფართობია 7 ჰა,

- წლის განმავლობაში წარმოქმნილი ნარჩენების მთლიანი მოცულობაა – 10000 მ³;

- მოსახლეობის მიერ დასუფთავებაზე დაწესებული მოსაკრებლის გადახდა – 35%-ია.

საბინაო ფონდი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე როგორც მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსები, ასევე კერძო სახლების 80% აშენებულია გასული საუკუნის 60-70-იან წლებში, რის გამოც საბინაო ფონდი მოძველებულია და ექვემდებარება რეაბილიტაციას.

სამშენებლო ორგანიზაციები

	ორგანიზაციის დასახელება	საქმიანობის პროფილი	სიმძლავრე მლნ. ლარი	აღჭურვილობის დონე
1	შპს „თეგი“	შენობების, მინი სტადიონების მშენებლობა-რეაბილიტაცია, პარკების, სკვერების კეთილმოწყობა, გზების რეაბილიტაცია	0,8	აღჭურვილია შესაბამისი სამშენებლო მანქანა მექანიზმებით და შესაბამისი დამხმარე საამქროებით.
2	შპს „ილდა“	შენობების რეაბილიტაცია, პარკების, სკვერების კეთილმოწყობა, გარეგანათების ქსელის აღდგენა, მონტაჟი	0,3	აღჭურვილია შესაბამისი სამშენებლო მანქანა მექანიზმებით

სოციალურ – ეკონომიკური განვითარების გეგმები

თეთრიწყარო მთიანი მუნიციპალიტეტი, რომლის ყველაზე დაბალი ადგილი ზღვის დონიდან 650 მეტრის, ხოლო ყველაზე მაღალი დასახლებული ადგილი – 1 140 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. დაბალ ზონაში ხელსაყრელი კლიმატი და ნიადაგია მესაქონლეობის, მემცენარეობის და მევენახეობისათვის. მუნიციპალიტეტში არის ბაზალტის, თეთრი ქვის და კირის საბადოები. მანგლისის წიწვოვანი ტყეები და ალგეთის სახელმწიფო ნაკრძალი დასასვენებელი ღონისძიებების შესაძლებლობას ქმნის. ქართველები მოსახლეობის 75%-ია. თეთრიწყაროს ტერიტორიაზე 400-ზე მეტი კულტურულ-ისტორიული ძეგლი მდებარეობს, მათ შორისაა: ფიტარეთი, სამშვილდე,

გუდარეხი, მანგლისის სიონი და სხვა. მუნიციპალიტეტს სომხეთისა და აზერბაიჯანის მოსაზღვრე მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობის კარგი პოტენციალი გააჩნია.

მუნიციპალიტეტის უწყებების წინაშე მდგარი ყველაზე დიდი გამოწვევა ადგილობრივი თემებისათვის წყალთან, გაზსა და გზებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაა. კიდევ ერთი გამოწვევაა საკმარისი რესურსების მობილიზება საზოგადოებრივი ტრანსპორტის აღდგენისა და რეგიონში არსებული ცენტრალური და მეორადი გზების რეაბილიტაციისადვის. გაუმჯობესებული გზები და ტრანსპორტი ხელს შეუწყობს ადგილობრივ ეკონომიკას და ცხოვრების სტანდარტს აამაღლებს. შემდეგი გამოწვევაა სოფლის მეურნეობის წარმოებასა და გადამამუშავებელ ინდუსტრიაში არსებული ნეგატიური ტენდენციის შეცვლა. მეწარმეობის მხარდაჭერა ეკონომიკური მომსახურების მინიმალური დონის უზრუნველყოფას, ასევე ფინანსებისა და აქტივებზე ხელმისაწვდომობას ნიშნავს. დაბალპროცენტულ და გრძელვადიან სესხებზე ხელმისაწვდომობა ხელს შეუწყობს ფერმერული ტექნიკის, მაღალხარისხიანი თესლის და სასუქების შესყიდვას მიწის დამუშავების და მისი პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით. აგრარული და ვეტერინარიის სპეციალისტებით დაკომპლექტებული საკონსულტაციო ცენტრების ჩამოყალიბებით ფერმერები შესძლებენ დანერგონ ახალი ტექნოლოგიები, რაც აუცილებელია ფურაჟის მომზადების, თივის შენახვის, პროდუქტის სერთიფიცირების თუ მაღალპროდუქტიული მერძეული და მეძროხეული ჯიშების განვითარებისთვის. რძის ხორცისა და ფრინველის ხორცის გადამამუშავებელი მცირე საწარმოები დამატებით ღირებულებას შესძენს ადგილობრივ პროდუქტებს და მათი ბაზარზე რეალიზაციის შანსს გაზრდის. მუნიციპალიტეტის განვითარების მიზნით საჭიროა თვითმმართველი სტრუქტურების ოპტიმიზაცია და საჯარო მოხელეების გაზრდილი შესაძლებლობა მონაცემთა ბაზის შექმნის, სტრატეგიული და სივრცული დაგეგმვის, ასევე, მუნიციპალური აქტივების მართვის კუთხით. ინვესტორებისა და მეწარმეებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება, ასევე, პარტნიორობა ტურისტულ სააგენტოებთან, სავაჭრო პალატებსა და სხვა ბიზნესჯგუფებთან ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას. მუნიციპალიტეტის მიზანია დახმარების უზრუნველყოფა სოციალურად დაუცველი პირებისათვის, რომელთა რაოდენობა ამჟამად 3 500 კაცს აღემატება. გადაუდებელი აუცილებლობის საკითხია ეკომიგრანტებისა და იძულებით გადაადგილებული პირების ინტეგრაცია.

მუნიციპალიტეტის მომავლის ხედვა ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან გამართული მთელი რიგი დისკუსიების შედეგად ჩამოყალიბდა. მოქალაქეებისათვის ცნობილია ადგილობრივად არსებული რესურსების სპეციფიკურობა და თავიანთი ტერიტორიის ისტორია, რასაც ისინი ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობისთვის საიმედოდ მიიჩნევენ.

მუნიციპალიტეტის მთავარი სტრატეგიული მიზნებია:

- ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერების მიზნით სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის და ტურიზმის განვითარების პოტენციალის გამოყენება;
- ადგილობრივი თემების ცხოვრების სტანდარტის გაუმჯობესება ადამიანური რესურსების განვითარებით და სიღარიბის დაძლევის მიზნით.

აღნიშნული მიზნების მიღწევის წინაპირობაა არსებული ბუნებრივი და ადამიანური რესურსები, პარტნიორობა ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებსა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის, ასევე, უწყვეტი მხარდაჭერა რეგიონული და ცენტრალური უწყებების მხრიდან.

აღნიშნული მიზნები საქართველოს მთავრობის ძირითად მონაცემებსა და მიმართულებებს, ასევე, ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგიას ეხმაურება, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ეკონომიკური ზრდა, სამუშაო ადგილების შექმნა, გზების, წყალმომარაგების, და ენერგომომარაგების ინტენსიური რეაბილიტაცია, ასევე, სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

